№ 11
იანვრის 15, ოთხშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 11
იანვრის 15, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

**ფასი გაზეთისა მთელის წლით იქვე თ უ მ ა ნ ი ა.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

### ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
**ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
**ფოთში:** ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
**ახალ-სენაკში** (?): —ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ზესტაფონში** (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
**საჩხერეში.** პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
**განჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**ფასი გაზეთისა** 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## სამკერვალო
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

**☞ ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად. ☜**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**აქვე მიიღება შესაკერად**

### კაბა-ანაფორა
**და სხვა სასულიერო სამოსელი.**

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსან. ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

№ 29. ტელეფონი № 176.

საქველ-მოქმედო წარმოდგენა

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 იანვარს, 1903 წ.

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

## ბრიგადი

დრამა 4 მოქ.. სმირნოვისა, თარ. ივანიძისა.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამრეკელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი,

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამრეკელიძე, გ. გედევანოვი, მ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად **„მელანიას ოინები** ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ, „ჩატეხილი ხიდი“, „სიძე-სიმამრი“, „დარღვეული კერა“, „ნიკრა“, „ორი დარაჯი“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**

## სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ქაღალდი ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
### ვ. ი. ინაშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგანის სნეულებით შეპყრობილს, განსაკუთრებით გულისა და ნერვებით სუსტებს. დილის 10 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5-დან—7 საათამდე, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 6.

(10—2—9)

ევროპიელი ქალი

## ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

## გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ექიმი
## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

**კბილის ექიმი**
**ივანე პავლეს ძე**

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

**ექიმი ალ. მაღალაშვილი**

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ნ. ს. ლუბეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ხ. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა**

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**მ. ი. ფიფინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. მ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**მ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით' კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

**ტფილისი, 15 იანვარი.**

ვინც-კი თვალ-ყურს ადევნებდა ბაას სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა შესახებ, რომელიც ამ ბოლოს დროს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში იმართებოდა ხოლმე, უეჭველია, შეამჩნევდა საზოგადოებას ერთ გვარს მიდრეკილებას, სულის სწრაფვას. ეს სულის სწრაფვა, რომელსაც ერობის (земство) ტრფიალის სახელი მოუხდება, მეტად თვალსაჩინოდ გამოცხადდა თავ. ლევან ჯანდიერისა და ვლადიმირ მიქელაძის მოხსენების გამო ატეხილ ბაასში.

ორნივ მომხსენებელნი შეეხნენ უძნელესს საგნებს სოფლის ცხოვრებისას: ერთმა თავს იდო—აღმოეჩინა, რა ღონისძიებით შეიძლება სოფლელთა უძრავის და მოძრავის ქონების დაცვა და უზრუნველ-ყოფა ტაცებისა და სხ. ბოროტ-მოქმედებისაგან; მეორემ წარმოადგინა პროექტი სახელდახელო კრედიტის მოწყობისა სოფლად. ორმავე მომხსენებელმა წინადვე აღიარეს, რომ მათის პროექტების სანატრელი განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ჩვენშიაც შემოღებულ იქნება სრული სასამართლო რეფორმა და ერობა, მაგრამ შორეულ სანატრელის გულისათვის ხელმისაწვდენს ზურგი არ უნდა შევაქციოთო. ორსავე მომხსენებელს სახეში ჰქონდათ პრაქტიკული შედეგი, უახლოესი სარგებლობა სოფლის ხალხისათვის. სანამ რეფორმებსა და ხალხის განათლებას მოვესწრებოდეთ, საჭიროა და შესაძლებელიც არისო იგივე სიკეთე მივიხვეჭოთ იმ ღონისძიებითაც, რომელიც ახლავე ხელთა გვაქვს, სახელდობრ ადმინისტრაციის შემწეობითაო.

არავის ეჭვი არა ჰქონია არც თავ. ლ. ჯანდიერის და ვ. მიქელაძის კეთილის განზრახვისა და არც იმისი, ვითომც ამ პატივცემულ მომხსენებელთ არა ჰსურდეთ იმპერატორის ალექსანდრე მეორის დიდის რეფორმების შემოღება ჩვენში. მათი წარსული მოღვაწეობა ყველასათვის საკმარისი თავმდებია, რომ მათ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ ჩვენთვის თავზედ მოეხვევინათ ახალი ბიუროკრატიული წესწყობილება და პოლიციური მზრუნველობა.

თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ საზოგადოების დარბაზში არც ერთს საზოგადოების წევრს და არც მუნ დამსწრე სტუმარს არ გამოუცხადებია თავისი თანაგრძნობა თ. ლ. ჯანდიერის და ვ. მიქელაძის პროექტებისათვის. საზოგადოებას თითქო შეეშინდაო იმ სიკეთისა, რომელიც ადმინისტრაციის ხელიდგან უნდა გამოსულიყო: არ გვინდა არც ქონების უზრუნველ-ყოფა, და არც სახელდახელო კრედიტის სიკეთეო, თუ არ გაგვეხსნება ასპარეზი კერძო კაცისა და საზოგადოების თვით-მოქმედებისაო.—ასეთი იყო ერთობ აზრი ორატორებისა და, ამ აზრის თანახმად, საზოგადოებამ უგულოდ გადასცა ბ-ნ ლ. ჯანდიერის მოხსენება იურიდიულ საზოგადოებას განსახილველად, ხოლო ბ-ნ ვ. მიქელაძის პროექტი სრულიად უარჰყო.

სამეურნეო საზოგადოების ასეთი გადაწყვეტილება დიალამც არ მოეწონებათ ეგრედ წოდებულს „პრაქტიკულ ჭკუის კაცებს“. იტყვიან, ლიბერალური ახირებააო, რომელსაც ფუჭი ფრაზა ნამდვილსა და უცილობელს სარფას ურჩევნიაო, მაგრამ ასეთი არ იყო საზოგადოების გუნება და მიმართულება. ორატორების ნალაპარაკევიდგან ცხადად სჩანდა, რომ მათ სახეში ჰქონდათ ერთი მარტივი ჭეშმარიტება—ისა, რომ ყველა საქმეს თავისი იარაღი აქვს. როგორც ფარცხი ვერ მოხნავს და გუთანი ვერ დაფარცხავს, ისევე პოლიცია სასამართლოს მაგიერი ვერ გახდება და მოხელე თვით-მმართველობის მაგიერობას ვერ გასწევსო. ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებას თავისი სპეციალი დანიშნულება აქვს და, თუ სხვის საქმეს გამოეკიდა, ან თავისს საქმეს ველარ მოუვლის, ან მიჩემებულს ვერ გაუძლვება, და ამ შემთხვევაში ვერც მოხელეთა სიმრავლე და ვერც მათის უფლების გაფართოვება საქმის კეთილის წარმართვას ვერ უშველისო. აგრეთვე, რაც უნდა განათლებულიი, კეთილის მოწადინე და სინიდისიერი იყოს მოხელე, ვერას დროს ვერ იზრუნებს საზოგადო საქმისათვის, როგორც თვით საზოგადოება. ამ აზრით იყვნენ განმსჭვალულნი ორატორები და ამიტომაც მათს წარმოთქმულს სიტყვებს ერთი დასასრული ჰქონდა: მიეცით სოფლის ხალხს ნება, თითონვე განაგოს თავისი საქმეო.

სანამ საგუბერნიო კომიტეტები დაიწყებდნენ სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა განხილვას, ჩვენ უკვე გამოვსთქვით, რომ ყველა ღონისძიებას, რომელიც სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად იქნება წარდგენილი, უსათუოდ უნდა მიუძღოდეს ერობის შემოღება. ასეთი ჩვენი აზრი,—რომელიც არავისთვის ახალი არ არის,—უფრო და უფრო მტკიცდება ყოველთვის, როდესაც-კი იმის სჯას შეუდგებიან თუ, რა ღონისძიებით უნდა განხორციელდეს რომელიმე გაუმჯობესება ჩვენს სასოფლო მეურნეობაში. სასოფლო მეურნეობის საზოგადოების უკანასკნელი ბაასი ცხადად გვიმტკიცებს კვლავ, რამდენად აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია საზოგადოებას ერობის შემოღება.

საერთო საზოვადოებრივის წყურვილის მოსაკლავად მარტო ნატვრის გამოთქმა არა კმარა. ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ ისინიც, ვინც საგუბერნიო კომიტეტში მიწვეულნი არიან საზოგადოების აზრისა და სურვილის წარმომადგენლად, განიმსჭვალნენ ასე თვალსაჩინოდ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილითა და სასოებით და თავს იდონ, მოახსენონ საგუბერნიო კომიტეტს ყველა გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა ამაოება და უნაყოფობა, თუ ერობა არ იქმნა შემოღებული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი მოხსენება მთავრობისაგან ჯეროვანად დაფასებული იქმნება და ნაყოფსაც გამოიღებს.

## ტფილისი

✦ 12 იანვარს ერევნიდგან მომავალი სახალხო მატარებელი ლიანდაგიდგან გადავარდნილა. მომკვდარა კონდუქტორი მიხეილ ჩიტაიშვილი, 8 კაცი დაშავებულა, ზოგი მძიმედ, ზოგი მსუბუქად. დაშავებულთა საშველად რკინის გზის მმართველობამ მკურნალი და სხვა მოხელენი გაჰგზავნა.

✦ კვირას, 12 იანვარს, სცენის მოყვარულთ ავლაბრის სახალხო თეატრში წარმოადგინეს „და-ძმა“ ვ. გუნიასი. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. თეატრი ხალხით სავსე იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ გუშინ, 14 იანვარს, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე ბათუმს გაემგზავრა.

✦ დღეს, 15 იანვარს, ტფილისის სათავად-აზნაურო სამდგილ-მამულო ბანკში ამავ ბანკის 35 რწმუნებულის არჩევაა დანიშნული.

✦ ჩვენ მივიღეთ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულისაგან კავკასიაში კავკასიის შინათ-მრეწველობის კომიტეტის-მიერ დაბეჭდილი წიგნი „შინათ-მრეწველობა კავკასიაში“ — **Кустарная промышленность на кавказѣ, вып. I.** ამ წიგნში აწერილია ხალიჩების ქსოვის საქმე ბაქოსკენ, სახელდობრ ყუბის მაზრაში. ფ. 80 კაპ.

✦ ტფილისის ტუსაღთა სამზრუნველო კომიტეტმა ქალაქის გამგეობას მიჰმართა თხოვნით, 2,060 მანეთით შემწეობა აღმოგვიჩინეთო.

✦ როგორც გვატყობინებენ, თელავში არსდება ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს გახსნას ღვინოების საწყობი. ამხანაგობა პირობას ფასად გამოართმევს ღვინოს გლეხთ, რომლებიც ახლა იძულებულნი არიან მევახშეთ თითქმის მუქთად მისცენ ღვინო და თვითონ გაჰყიდის.

✦ სოფელ ახალ გავაზში — თელავის მაზრაში — საქონის ჭირი გაჩენილა.

✦ ტფილისის ვაჭართა საზოგადოების კრება დანიშნულია 22 იანვარს. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც წევრი უნდა დაესწროს.

✦ ქართლიდგან გვწერენ, რომ სოფ. ბერთში (გორის მაზრა) და მის ახლო-მახლო თურქული და ხუზარა გაჩენილა. თურქული კიდევ არაფერი, მაგრამ ხუზარა-კი დიდს ზარალს იძლევაო.

✦ ტფილისის გუბერნატორმა აუწყა ქალაქის მოურავს, რომ რადგანაც ზამთარი მეტად ცივია და მთაშიც ბლომად ჩამოყარა თოვლი, იმიტომ მოსალოდნელია, რომ გაზაფხულზედ წყალმა მოიმატოს და რიყის მცხოვრებლები შეავიწროვოსო; ამიტომ კარგი იქნება, ქალაქის გამგეობამ ეხლავე რამე ღონისძიება მიიღოსო; ქალაქის გამგეობამ გუბერნატორის მოწერილობა განიხილა და დაადგინა: დაევალოს სავაჭრო-სამეურნეო ნაწილის ზედამხედველს, თუ მართლა წყალი ადიდდა და მცხოვრებლები გამოიხიზნენ თავიანთ სახლებიდგან, იზრუნოს მათთვის თავშესაფარი; გამგეობამვე დაადგინა, ბეჯითად ადევნოს თვალ-ყური წყლის მოდიდებას და გაამრავლოს წყალში დახრჩობისგან გადსარჩენი ნავები.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიათა წევრნი: ქალაქის ხორცის დუქნებისა, ხორცეულისა და პურზედ ნიხრის შემუშავებისა, ქალაქის საძოვარ ადგილებისა და ხე-ტყეს გამშენებლისა.

✦ ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის გამგე ბ-ნი ალიბეგოვი აუწყებს ქალაქის გამგეობას, რომ მომავალ წელს ქიმიურ ლაბორატორიისაგან ქალაქი ნურაფერ შემოსავალს ნუ ელოდება, რადგანაც თვით ქალაქი იმოდენა საქმეს აძლევს ლაბორატორიას, რომ კერძო საქმეები ვეღარ უკისრნიაო.

✦ როგორც ჩვენის გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ამ ჟამად ქალაქის საფინანსო კომისია იკვლევს იმ წყაროებს, რომლიდგანაც მოდის ქალაქს შემოსავალი. საფინანსო კომისიამ განიხილა ქალაქის საყასბოს შემოსავალი და დაადგინა, საყასბოდგან შემოსავალი ნაჩვენები იყოს 63,000 მან. სხვათა შორის, კომისიამ აღნიშნა, რომ ამ ბოლოს დროს საყასბოს შემოსავალმა შესამჩნევად იკლოვო; დაევალოს სასანიტარო-საექიმო განყოფილების ინსპექტორს, გამოიკვლიოს მიზეზები შემოსავლის შემცირებისა და სთხოვოს, რომ გამგეობამაც რამე ღონისძიება მიიღოს საქონლის ჩუმად ხოცვის მოსასპობადაო.

✦ კვირას, 12 იანვარს, საღამოს 7 საათზედ, სომხის სემინარიის პირდაპირ საზარელი უბედურება დატრიალდა: ტფილისის რკინის გზის კანტრალიორმა, რომელიც ვაგონის საფეხურზედ იდგა, დაჰკრა მუხლის თავი შეხვედრილ ეტლის დერძის თავს და მუხლის თავი მთლად მოიმსხვრია; გულშეწუხებული კანტრალიორი გადმოვარდა ვაგონიდგან და სისხლში გასვრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

11 იანვარი (მეხუთე სხდომა).

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

კრება დაიწყო თორმეტის ნახევარზე. სანამ ოქმის კითხვას შეუდგებოდნენ, თავმჯდომარემ წაიკითხა დეპეშა ბ. ჰასფელდისა, რომელიც ულოცავს მრეწველთ მეხუთე კრების დაწყებას და მის კეთილ-საბედნიეროდ დამთავრებას. მხოლოდ ჩვენდა გასაკვირვლად, უბრალო მადლობაც-კი არავის წამოსცდენია ამ თავაზიან მოლოცვისათვის. იერმე-კი გავიგეთ, რომ ბ. ჰასფელდს, არამც თუ მადლობა, ზიზღისა და სიძულვილის მეტი არა დაუმსახურებიარა მრეწველთა მხრით თავის ვერაგობისა და გაიძვერობის გამო.

ბ-ნ დ. ბაქრაძეს ჰსურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავმჯდომარემ შენიშნა, — ჯერ ოქმი უნდა წავიკითხოთო.

შეუდგნენ ოქმის კითხვას; როდესაც მიაღწიეს იმ საკამათო საგანს, ვითომც თავმჯდომარეს მეორე კრებაზე განეცხადებინოს, — შაბათამდე ვსწყვეტ კრებასაო, კიდევ ასტყდა ლაპარაკი; თავმჯდომარემ მიმართა კრებას, — გთხოვთ კატეგორიულად ბრძანოთ, — ვსთქვი, თუ არა, კრებასა ვსწყვეტავ-თქო?

ბ-ნი ზდანოვიჩი. მართალია, ბ. თავმჯდომარემ სთქვა, — კრება შაბათამდე უნდა გადავსდოო, და მიზეზიც დაასახელა, მაგრამ...

თ. დი ლეონიძე ეკამათება ბ. ზდანოვიჩს და ამტკიცებს, — თავმჯდომარემ კრების შეწყვეტა გამოაცხადაო და სხ. თავმჯდომარე ამშვიდებს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მე თვით პირველმა მივაქციე ყურადღება თავმჯდომარის განცხადებას და წინააღმდეგი გავუხდი; შევეკითხე, — ვისთვისაა სასარგებლო, რომ კრებები გაჭიანურდეს-თქო. ცოტაოდენ მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, რომ საჭირო არ იყო კრების გადადება და, მცირე შესვენების შემდეგ, ისევ შევუდექით მსჯელობას.

ბ-ნი კიკნაძე. გუშინ მრეწველთა კრებაში მონაწილეობის შესახებ ვილაპარაკე და ოქმში არ არის.

იოს. კაკაბაძე. ჩემი სიტყვა ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, გამოტოვებულია ოქმში. თავმჯდომარემ უპასუხა, — მაშინაც გითხარით, — ეგ არ ეხება საქმეს-თქო. ისევ იმას იმეორებთ, რაც სამი დღის წინად მოხდა.

ბ-ნი ემერიკი მაინც თავის სიტყვას ადგია, — ჯერ გამოუცხადეთ, კრება შაბათამდე გადავდეო, და შემდეგ-კი ისევ განაგრძეთ; გთხოვთ ეს ამბავი ოქმში აღნიშნოთ.

თავ. ი. აბაშიძე. გთხოვთ, ისიც შეიტანოთ ოქმში, რომ 5 კაციდგან, რომელნიც, თავმჯდომარის შეკითხვის შემდეგ, ფეხზე წამოდგნენ, — კრება შეწყვეტილი გვეგონა და შინ წაველითო, — სამი კაცი — ინჟ. ჩერნიავსკი, ბ-ნი კავალევსკი და ბ-ნი გ. ჩუბინიძე — აქვე დარჩა და კრების დასასრულამდე არ წასულა.

თავ. ვ. წულუკიძე. ბატონებო, მოსპეთ ეს უსაფუძვლო ცილობა ბ-ნი ემერიკი ახლადახლა გამომიტყდა, — თავმჯდომარემ შესვენების დროს (**во ввемя перерыва**) მითხრა შაბათამდე უნდა შევეწყვიტო კრებაო, — და ეს თავის თავად ცხადია, რომ კრება არავის გადაუდვია (ტაში).

ექ. ჭიჭინაძე. (თავმჯდომარეს) უქვენ სავარძელში ჩაჯექით და განაცხადეთ, — შაბათამდე კრება აღარ იქნებაო, და როცა ჩვენ შეგეკითხეთ, მაშ, დღესა და ხვალ კრება აღარ იქნება-თქო, — გვიპასუხეთ, — არ იქნებაო.

თავ. ი. ნიჟარაძე. გუშინ ბ-ნი ქვარიანიცკი ადგა, მაგრამ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა; მაშინაც მოგახსენეთ და დღესაც გთხოვთ შეიტანოთ ოქმში, რომ მას კენჭი არა აქვს, და ტყუილად ნუ ერევა საქმეში.

ბ-ნი ქვარიანი. მე ბჭობა-თათბირში მონაწილეობის ნება მაქვს წესდების მე-6 მუხლის ძალით და თვით თავმჯდომარემაც ნება დამრთო მსჯელობა-კამათისაო.

ოქმს ხელი მოაწერეს.

თავმჯდომარე. ეხლა ინჟ. ჩერნიავსკის მოხსენების განხილვას შევუდგეთ.

თავ. ი. აბაშიძე. ჩემის აზრით, ჯერ უმჯობესია სარევიზიო კომისიის ანგარიში მოვისმინოთ; კრების პროგრამაშიაც თითქმის პირველი ადგილი სხვა და-სხვა ანგარიშების განხილვას უჭერია.

თავმჯდომარე. ამ შემთხვევაში ჩემის უფლებით ვსარგებლობ, მით უმეტეს, რომ თავმჯდომარე სარევიზიო კომისიისა ამ ჟამად აქ არ იმყოფება.

ბ-ნი ზდანოვიჩი. სრულიად ვეთანხმები ბ-ნ თავმჯდომარეს; ჩემის აზრით, აუცილებლად საჭიროა დავიცადოთ, სანამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე არ გამოცხადდება.

ბ-ნი დ. ბაქრაძე. შეეხო ტარიფის დაკლების საკითხს და სთქვა, — თუმცა ინჟ. ჩერ. აზრით ტარიფს რომ დავუკლოთ, ეს მხოლოდ უცხოელ ექსპორტიორებისთვის იქნება ხელსაყრელი და არა ჩვენებურ მრეწველთათვისაო, მაგრამ კარგი იქნება, ვინმე მცოდნე კაცმა დაწვრილებით განგვიმარტოს და დაგვანახოს, რომ მართლა სასარგებლო იქნება ჩვენთვისაც ტარიფის დაკლება.

ბ-ნი სოლ. წერეთელი. სწორედ მოგახსენოთ, ვერ გავიგე ინჟ. ჩერნიავსკის გუშინდელი მოხსენება. მისის გამოანგარიშებით, მადანს მხოლოდ 30% აკლდება და 70% ლითონი რჩება; მე გამოცდილებით მოგახსენებთ, რომ პირიქით — 70% აკლდება და 30% ლითონი რჩება. ასეა, თუ ისე, საჭიროა სპეციალისტთა გარდა მცოდნე, გამოცდილი კაცებიც ავირჩიოთ კომისიაში და იმათ მივანდოთ ამ საქმის დაწვრილებითი გამოკვლევა.

ბ-ნი კიკნაძე. ასეთ სპეციალურ მოხსენებაში სრულიად მეტ ბარგად მიმაჩნია ისტორიული ნაწილი და უნდა დავავალოთ მომავალ კომისიებს, რომ ყოველთვის გამოსტოვონ ხოლმე.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. ინჟ. ჩერნიავსკის მოხსენება თეორეტიულია და ამიტომ პრაქტიკულად უვარგისი. თუ ამგვარი მოხსენება სხვასაც ვისმე აქვს დამზადებული, კომისიას გადასცეს გასასინჯად. ინჟ. ჩერნიავსკის მოხსენებას სრულიად ვერ ვეთანხმები.

თავ. ვ. წულუკიძე. ინჟ. ჩერნიავსკიმ აჩქარებით წაიკითხა მოხსენება და ბევრი ვერა გავიგეთ-რა; ალბად, ისიც იყო მიზეზი, რომ უხეიროთაა შედგენილი; მე იძულებული ვარ, ხანდახან მაინც მივმართო მომხსენებელს, — ესა და ეს განგვიმარტე-თქო. ბატონებო, ჩვენდა საუბედუროდ, მოსული გარეშე კაცები, უმეტეს ნაწილად ისე უგულოდ გვეკიდებიან, ისე ზერელ აოვალიერებენ ჩვენს მადნებს, რომ კაცს გააკვირვებს მათი საქციელი. ეს არაფერი; მოგვდგებიან და ისევ ჩვენ გვაგინებენ და გვეთათხავენ, ჯამბაზობენ და თვალთმაქცობენო (ხანგრძლივი ტაში). სხვას რაღა მივთხოვოთ, ამას წინად ერთმა უნივერსიტეტის დოცენტმა, მაშასადამე მეცნიერებით აღჭურვილმა კაცმა, საქვეყნოდ გამოაცხადა, — ჩხარის მარგანეცი სჯობია ჭიათურისასაო (სიცილი). ერთი სიტყვით, ის-ღა გვაკლია, რომ ამ ვითომდა მეცნიერებმა ჩვენი თავი ქვეყანას მიკროცეფალებად, ან წითელ-კანიანებად გააცნონ. ინჟ. ჩერნიავსკის აზრით, ახალ ქარხნის მეოხებით, ჩვენ თითო ფუთზე 5 კაპიკი უნდა მოვიგოთ. მაგრამ იმას-კი აღარ გვეუბნება, რომ ამავე მოგებაშია მოქცეული ის მოგებაც, რომელიც გვექნება ჩამოსაზიდ მანქანებისა და გაუმჯობესებულ გზების წყალობით. გარდა ამისა, გამოცდილ და დახელოვნებულ ინჟენერთა გამოანგარიშებით — მხოლოდ 2 კაპეიკია მოგება, — ისიც მაშინ, თუ ლაბორატორიის ანალიზს მივიღებთ სახეში, ე. ი. 54 — 6 — 8; მაგრამ ჩვენთვის უფრო ვაჭრული ანგარიშია საჭირო. ყოველივე ეს თუ ვივარაუდეთ, ძლივ ძლივობით 1 კაპიკამდე რჩება, ისიც საეჭვო ციფრებით (რაც, როგორც თვით ავტორი ამბობს, ალბად იმის მიზეზია, რომ აჩქარებით შეუდგენია მოხსენება); განა შესაწყნარებელია, ცალიერ, დაუსაბუთებელ სიტყვით ასეთ საგნებზე ლაპარაკი, იმისა არ იყოს, ტარიფის დაკლება ჩვენ არას შეგვმატებსო? სწორედ გვაოცებს, რომ განათლებული კაცი ასეთ რასმეს ამბობს და უნდა კიდეც დაგვიმტკიცოს.

გემახსოვრებათ, ბატონებო, როცა სამი კაპეიკი დაუკლეს ტარიფს, მაშინვე 13 პენსად გავასაღეთ გაზიდული მადანი; განა ცხადად არა მტკიცდება აქედგან, რომ ჩვენ ბაზარზე არ გაგვიიაფებია მადანი! მთელი მოგება ისევ ჩვენს ჯიბეს დარჩა, სხვა არავინ გვისარგებლებია. მიზეზი ეხლანდელ მაჩანდის დაცემისა სულ სხვაა — დიდი მეტოქეობა ბრაზილიისა და ინდოეთის შავი-ქვის მადნისა, ფრახტი... სწორედ სამწუხაროა, რომ ზოგიერთები ასეთ უსაფუძვლო და უსაბუთო აზრებით აფერხებენ ჩვენს საქმეს. მეტი ქარაფშუტობა იქნება? იმისთვისაც-კი ჰკიცხავენ, ტალახში ჰსვრიან მრეწველთ, რატომ სასწავლებლებისა, თეატრისა და წიგნთ-საცავებისათვის ჰზრუნავენო. დიაღ, სავალალოა ასეთი საყვედურები. (ტაში).

თავ. ი. ნიჟარაძე. რადგან ინჟ. ჩერნიავსკიმ მოხსენებაში ფული აიღო, ეგ მოხსენება საბჭოს უნდა გადაეცეს საკუთრებად; საბჭო კომისიას გადასცემს, რომელსაც მასალად გამოადგება; ზოგს გამოაკლებენ, ზოგს დაუმატებენ, შეასწორებენ და როგორმე გამოიყენებენ.

ბ-ნი გ. ცერცვაძე [illegible] რომ კომისიაში მონაწილეობა მიიღონ, გარდა სპეციალისტთა [illegible] და გამოცდილ კაცებმა, თორემ პრაქტიკა და თეორია ერთმანერთს ჰშორავს. გარდა ამისა დიდად საჭიროდ მიმაჩნია, რომ მრეწველთ საკუთარი სპეციალური ორგანო გაიჩინონ — ყოველ კვირეული, ან ყოველ თვიური — აი, მაგ. როგორც ბაქოს ნავთის მწარმოებელთ აქვთ. მაშინ ადვილად შევვძლებთ, ყოველი ამ გვარი საკითხი გამოვაქვეყნოთ, ყველას მივსცეთ საშუალება, თავისი აზრი გამოსთქვას ყოველ მხრივ ასწონ-დასწონოს, შეიმუშაოს და შეისწავლოს. საგანი გამოირკვევა და მერმე, როგორც საუმჯობესოდ დავინახავთ, ისე მოვიქცევით.

ბ-ნი დ. ბაქრაძე მიემხრო ბ-ნ ცერცვაძის აზრს გაზეთის, ან ჟურნალის გამოცემის შესახებ, და დასძინა, — სამი სხვა-და-სხვა სპეციალური განყოფილება უნდა იქმნესო — სამთა-მადნო, სამეურნეო და სავაჭროო.

ბ-ნმა ს. ქვარიანმა ქება შეასხა ინჟ. ჩერნიავსკის, — დიაღ, სერიოზული, დასაბუთებული მოხსენებაა, მხოლოდ საგანი მეტად საგულისხმოა და არ ივარგებს აჩქარებით ამა თუ იმ გადაწყვეტილებას დავადგეთო. სჯობს, რომ მომავალ საბჭოს მივანდოთ, მცოდნე კაცები მიიწვიოს, დაწვრილებით შეიმუშაოს და ისე წარუდგინოს მომავალ კრებასაო. რაიცა შეეხება ინჟ. ჩერნიავსკის მოხსენებას, სრულიად უსაფუძვლოდ ჰკიცხავენ: კაცმა ამდენი იმუშავა, აურებელი მასალა შეჰკრიბა, შრომა გასწია, და დიდი მადლობის ღირსიცაა. მაგრამ მიტომ უკიჟინეს უვარგისობა, რომ ზოგიერთებს „სიმართლე თვალსა სთხრისო“.

ინჟ. ჩერნიავსკი. ბატონებო, ჩემი მოხსენება, ალბად, ვერ გაიგეს; ვინც წინააღმდეგ ილაპარაკა, სრულიად ვერაფერი დაამტკიცა. მე სასყიდელი არ მიმიღია; მე იმ ბედნიერთა რიცხვს არ ვეკუთვნი, რომელნიც ფულსა ღებულობენ; მხოლოდ 150 მანეთი მივიღე (სიცილი; ხმები: მეტი რაღა გინდოდათ, არც მაგათა ჰღირს), მაგრამ ისიც მიტომ, რომ მასალების შეკრების დროს ხარჯი გავსწიე. მოხსენება ჩემი საკუთრებაა და არც არავის დავუთმობ.

ბ-ნი ვ. ძოწენიძე. ჩვენ აქ არ შეგვიძლია ეს მოხსენება განვიხილოთ და გამოვიკვლიოთ. უნდა გადაეცეს მომავალ საბჭოს, ჩინებული მასალაა და როგორმე გამოიყენებს.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი წინააღმდეგია, რომ მოხსენება საბჭოს გადაეცეს შესამუშავებლად; აუცილებლად საჭიროა, რომ სპეციალისტთა კომისიას ჩაჰბარდესო. რაიცა შეეხება საბჭოსაკენ გადმოქნეულ მათრახს, — იმ ბედნიერთ არ ვეკუთვნი, რომელნიც ფულსა ღებულობენო, — თვით ანგარიშიდგან დაგანახვებთ, რომ სწორედ ბ-ნი ჩერნიავსკია ასეთი ბედნიერი. მას რომ ფინანსიური მოსაზრება ჰქონოდა, ის არ წამოსცდებოდა, რაცა სთქვა საბჭოს შესახებ. მართალია, ბევრი ილაპარაკა ფართო შეხედულობის შესახებ, მაგრამ მეტად ვიწრო და ეგოისტური გამოსვლა დასასრულ, — უარ-ჰყო სკოლებიც, თეატრიც, სტიპენდიებიც, — ასეთ ხარჯებს რად ეწევით, ის არა სჯობია, აქ დარჩეს,

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

### მოუხიამული გული.

(ამბავი)

(დასასრული*)

### III

მეორე დღეს მამაჩემმა გაუგზავნა ჩემს საცოლოს ნიშნები და შემდეგ თვითონაც წავიდა მ. სოფრომისას. მოელაპარაკებინათ და ჯვარ-საწერად დაენიშნათ ოცი მარიამობის თვე; მანამდე-კი მოემზადებინათ დანაპირი მზითევი.

ამ ხანებში მე მოურიდებლად დავდიოდი ნინოსთან და ერთად ვსაუბრობდით... თვალ-ყურს არავინ გვადევნებდა, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჩვენ ერთმანერთი გვიყვარდა და კეთილ-სინიდისიერობის საზღვარს არ გადავცილდებოდით.

ხშირად გავდიოდით სამუსაიფოდ მახლობელ მინდორში, რომელსაც გვერდით ჩამოუვლიდა პატარა ანკარა მდინარე.

ერთ საღამოს, როგორც ჩვეულებად გვქონდა, გავედით მინდვრად. მზე გადახრილიყო; გრილი ნიავი მზად არხევდა წყლის პირად ამწვანებულს ბალახსა, ხანდისხან მოისმოდა მწყერის საამური ღუღუნი; მზე ნელ-ნელა მიესვენებოდა და ვარდისფრად ჰღებავდა თავის დასავლეთს საბრძანებელსა.

ჩვენ დავჯექით იქვე წყლის პირად დასასვენებლად.

ნინო გვერდით მომიჯდა და თვალს ადევნებდა მზის ჩასვლის დიდებულ სურათსა.

ლევან! ხედავ, როგორ ჩუმად მიიპარება მზე?! — მითხრა მან, — სწორედ ასე შეუმჩნევლად მიდის ჩვენი სიცოცხლე და ყოველის წუთით ვუახლოვდებით წუთის სოფლის გამოსალმების ჟამს.

— სულიკო! ეგ არაფერია, — მივუგე მე, — ამ ქვეყნის კანონი ეგეთია, რომ ყოველი არსება, ადრე თუ გვიან, უნდა გამოესალმოს აქაურ ცხოვრებას... სადარდელი ეს-კი არაის არის, რომ მე და შენ ამ ცოტას ხანში ერთმანერთს უნდა დავშორდეთ; მე ვიქნები შორს, სადღაც, შენთან დაშორებით, და შენ-კი აქ, ჩემო სიცოცხლეო, აი რა არის სათქმელი!

— რა მშვენივრად იცი, ლევან, ლაპარაკის თავის მობმა, — მითხრა ნინომ, რომელმაც ამ ლაპარაკის დროს ჩემკენ მოიბრუნა პირი და თავისი ნათელი თვალები შემომანათა.

— მეცა მეც დავუფიქრებივარ და ყოველთვის ერთის მხრივ დავუღონებივარ და მეორეს მხრივ სიამოვნება უგრძნობინებია ჩემთვის. შენი წასვლა მახარებს მისთვის, რომ ნიჭიერი კაცი ხარ, შესდიხარ უნივერსიტეტში სწავლა-მეცნიერების შესაძენად და თან ძიგიძლვის შენის მოძმისა და სამშობლოს სიყვარული. ეს ყველა კარგად ვიცი, მაგრამ ეგ ამბავი მაინც მაღონებს; მისთვის-კი არა, რომ ვითომ შენ დამივიწყო, არა მე დარწმუნებული ვარ, რომ გიყვარვარ სულით და გულით. მე ვწუხარ, თუ როგორ გავსძლო უშენოდ; ჩემთვის შენი უნახავობა ჯოჯოხეთში ყოფნა იქნება! ერთი წამი უშენოთ — წელიწადი იქნება და წელიწადი-კი დაუსრულებელი საუკუნე!.. ასე მგონია, ამომავალი მზე ხარ მეთქი და, როგორც უმზეოთ ჯოჯოხეთის სიბნელე მოიცავს ქვეყანას, ისე ჩემს გულში უშენოდ სწორედ არავითარი სინათლე და სიხარული არ იქნება!.. ლევან! შენა ხარ ჩემი სული და უშენოთ ვერ გავსძლებ სწორედ ისე, როგორც უსულოდ! აი ეს მაღონებს, სხვა არაფერი!..

ეს იყო მისი წრფელი აღსარება, რომელსაც თან ცრემლებიც მოჰყვა.

— არა! არა! არ შემიძლიან უშენოდ გაძლება, — მითხრა ტირილის ხმით, ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი და ცრემლები მოიწმინდა, თავისი პატარა თავი-კი ჩემს გულს დააყრდნო.

ოჰ! ძმაო, რა ბედნიერებას ვგრძნობდი მაშინ! მთელს სიცოცხლეს მერჩია ის რამდენიმე წამი! გულზე მესვენა ის, ვისაც ასე მხურვალედ ვუყვარდი.

მისმა სიტყვებმა ისე მოალბო ჩემი გული, რომ მზად ვიყავ შემესრულებინა ყოველი მისი სიტყვა. მაშინ რომ ეთქვა: „ნუ წახვალ, დარჩიო“, მზად ვიყავ დამეთმო.

როცა ცოტათი დამშვიდდა, შევეკითხე:

— რა ვქნა, ნინო, დავრჩე, თუ წავიდე?

— ოჰ, კიდევ მეკითხები?!. გეტყობა გულში ამოჭრილი გაქვს წასვლა... მე ხომ გიყვარვარ? ხომ კი?.. მაშ, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი!.. მე შენს სურვილს არ გადაველობები წინ... წადი მოიკალ წყურვილი სწავლისა... იყავ ცოცხალი და... მე შენთვის ყველაფერს მოვითმენ!.. შენ შემოგწირავ ჩემს თავს!.. წადი და არ დაივიწყო ეს გული, რომელიც მთლად შენ გეკუთვნის!..

მე არ ვიცოდი, რა მეთქვა პასუხად, რა სიტყვებით გამომეცხადებინა მისდამი ღრმა პატივის-ცემა... ჩემ წინ იდგა განხორციელებული ჩემი იდეალი, რომლის მსგავსს მხოლოდ დავეძებდი. მე ჩავიკარ ნინო გულში და დავატკბე ალერსით.

პირბადრი მთვარე უკვე ამოსულიყო და თავისი მკრთალი ნათელი უხვად მოეფინა არა-მარესთვის. შორიდან გზატკეცილზედ მოისმოდა ურმის ჭრიალი. ოდნავ ისმოდა სიმღერის ხმა, რომელიც უფრო და უფრო ახლოვდებოდა. აშკარა იყო, ვიღაც მეურმე ერეკებოდა ურემსა და თან რაღაც სევდით სავსე სიმღერასაც დაჰღიღინებდა. ჩვენ, გატაცებულნი, არ ვაქცევდით ამას ყურადღებას, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენს ახლოს გავარჩიეთ მეურმე, რომელიც გვერდზე მოჰყვებოდა დატვირთულ ურემსა და თან შვენიერის კრიალა ხმით მიიმღეროდა.

სიმღერის ხმამ გამოგვარკვია, და ორივენი გონს მოვედით. ნინომ გაისწორა თმა, მოიხურა მოსასხამი და ხელ-გაყრილნი წამოვედით შინისკენ. ნინო თავის სახლში დავტოვე და მე-კი ჩემს სახლში წავსწიე.

### IV

მოაწია ჯვრის-წერის დღემ. წინდაწინვე ჩამაბარეს ორი ათასი მანეთი და მზითევი. მეორე დღეს, კვირას ქორწილი გადავიხადეთ. ერთის კვირის შემდეგ ნინო ჩვენსა ჩამოვიყვანე.

პირველ ენკენისთვეს უნდა წავსულიყავ რუსეთს. მომიმზადეს საჭირო ბარგი, გამოვემშვიდობე ყველას და გავსწიე.

— არ მოგიყვები, ძმაო, მითხრა ლევანმა, თუ როგორ დავშორდით ერთმანეთს, რადგანაც თვითონ წარმოიდგენ, თუ როგორი იქნებოდა ჩვენის ერთმანეთის დაშორება.

პირველი წერილი ნინოსაგან ერთის კვირის შემდეგ მივიღე, მერე-კი მეორე — მესამე დღეს მომდიოდა წერილები.

აპრილის დამლევს მწერდა: „საყვარელო ჩემო ლევან! უშენობით სული მიწუხს; გული მიღონდება, მოდი მალე, მაპკურე შენი სიყვარული და ისევ აღმადგინე, აღმაყვავე. ახლა-კი ძლიერ მოწყენილი ვარ, შენს სურათს გარდა, თითქმის სხვა არაფერი მახალისებს... გული რაღასაც შემომკვნესის. ნეტავ შენს ნახვას მოვესწრებოდე, თორემ სხვას არაფერს დავეძებო“...

*) იხ. „ივერია“ № 10.

ჯიბეშიო. მე მაგვარ „ფართო“ შეხედულობისა არც არაოდეს ვყოფილვარ, და არც ვიქნები. რაიცა შეეხება მოხსენების ტეხნიურ მხარეს, ვერას ვიტყვი, რადგან იმისათვის საჭირო ცოდნა არა მაქვს. ფინანსიურად-კი —სუსტია. მაგალ., ბ-ნ ჩერნიავსკის მოსაზრება,—ერთხელვე დაწესებულ მახანდით მიდება მადნისა—არ ეკადრება თვით ანბანურ ჭეშმარიტების მცოდნეს. რა სათქმელია,—ერთხელვე დაწესებულ ფასად უნდა მოხდეს ყიდვა-გაყიდვა მადნისაო. თუმცა ავტორმა განაცხადა,—ამ წყვდიადით მოცულ საქმეს მინდა სინათლე მივფინოო,—მაგრამ მე გულის წყრომით უარ-ვყოფ ასეთ სინათლეს (ხანგრძლივი ტაში).

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. ალბად, დიდი თანხის პატრონი ყოფილან მრეწველნი, რომ წინდაწინვე იძლევიან ფულს მოხსენებაში. გარდა ამისა, ინჟ. ჩერნიავსკის აზრი,—კამბაზობენ ქვის წარმოებაშიო—სრული ჭეშმარიტებაა, მაგ., წონის დროს დიდ თვალთ-მაქცობას სჩადიან, და უნდა მოვსპოთ.

ინჟ. ჩერნიავსკი. მე მოხსენებაში კი არ მითხოვია სასყიდელი, არამედ მასალების შეკრებაში დავხარჯე და მისთვის ვთხოულობდი; მაგრამ ეხლა მიდგომით იქცევიან და ამიტომ მომეპყრნენ ასე.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. რომ მიდგომით მოვქცეულიყავით, ხომ წინდაწინვე აღარას მოგცემდით. პირიქით, მე ჩემის უფლებით სასყიდლის ნახევარი წინდაწინვე მოგეცით, მაგრამ, თქვენ როგორ მოიქეცით? ყოველით და გამოვაცხადეთ,—თუ მეორე ნახევარიც არ ჩამაბარეთ, მოხსენებას არ წავიკითხავო. სწორედ გითხრათ, მეტად გამაბრაზა თქვენმა სიტყვებმა; მაგრამ იქცევა მხოლოდ მდაბალ ხარისხოვანი მსახიობი ფარდის ახდის წინ, და მიტომაც უარით გაგისტუმრეთ. (ხანგრძლივი ტაში)

პირველის ნახევარზე კრება შესწყდა 15 წამით.

თავმჯდომარე. ინჟ. ჩერნიავსკის მოხსენების შესახებ უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მომავალ საბჭოს გადაეცეს შესამუშავებლად.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. გთხოვთ—ეხლავ აირჩიოთ კომისია; სულ სხვაა, როცა კომისიას თვით კრება ირჩევს, და სულ სხვა,—როცა მარტო საბჭო. გარდა ამისა, ინჟ. ჩერნიავსკი ამბობს,—მოხსენებას არ გადმოგცემთო; ალბად, ნაწყენია (ვილამაც დაიძახა: მიეცით ფულიო). ხარჯი გაუწიე და ოამდენიმე მაინც მიზღეთო. მე სწორედ სრულიად არა მსუროდა ამაზედ ჩამომეგდო სიტყვა, მაგრამ რადგან თვით მეცხო, იძულებული ვიყავ დამემთავრებია.

თ-დი ი. აბაშიძე. მამ ინჟ. ჩერნიავსკიმ თავის მხრით უნდა უზღოს ბანკს ის თანხა, რომელიც ამაჲ საქმისათვის გამოგვართვა.

თავმჯდომარე. ეხლა, სახალხო ინსპექტორიც აქა ბრძანდება, და შევუდგეთ სახელოსნო სკოლის საქმეს.

ინსპექტორი ბ-ნი სოკოსმასკი. მე განზრახვა არა მაქვს მოხსენება წარმოგიდგინოთ, რადგან ახალი კაცი ვარ, ჯერ არ ვიცი, რა შეძლება გაქვთ, არც ის, თუ როგორ უყურებთ ამ საქმეს. არსებობს მინისტრის წესდება და, თუ მიბრძანებთ, როგორი სკოლა გნებავთ, საჭირო ცნობებს მოგაწოდებთ.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. ოთხ-კლასიანი.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. საქმე მსჯელობა გვქონდა ოთხ-კლასიან სამოქალაქო სკოლის შესახებ, რომელიც 4,500 მანეთად ჯდება წლიურად. შევეკითხეთ სახალხო სკოლის დირექტორს,—რა დაგვიჯდება, რომ ასეთ სკოლასთან სახელოსნო განყოფილებაც დავაარსოთ-თქო. სამწუხაროდ დირექტორისაგან ჯერაც არ მიგვიღია პასუხი. შემდეგ ამისა, ბ-ნ ემერიკმა კეთილი აზრი შემოიტანა,—იქნება რაიმე ტეხნიურ სასწავლებლის ნება-[illegible] მოვაცენო. აი, მასალა, რომელიც საბჭოს ხელთაა, და ეხლა თქვენ იცით, რა გზასაც დაადგებით.

ინსპექტორი. ამ ჟამად სამგვარი სამოქალაქო სასწავლებელია: 3, 4, 6 კლასიანი. 3—დაჯდება 4,000 მ. 4—5,000 მანეთი და 6-იანი 6,000 მან. სამ, ან ოთხ კლასიანი რომ დააარსოთ, ბევრი-ბევრი 2,000 მანეთამდე შემწეობა აღმოგიჩინოთ მთავრობამ. რამდენ კლასიანიც უნდა აირჩიოთ, ჯერ სამი კლასი გაიხსნება ერთად და შემდეგ თითო კლასი მოემატება ყოველ წლობით. გარდა ამისა, შეიძლება სამოქალაქო სასწავლებელთან რაიმე სახელოსნო განყოფილებაც გახსნათ.

სახელოსნო სასწავლებელი-კი მხოლოდ 3-კლასიანი შეიძლება და დაჯდება წლიურად 11,600 მანეთამდე.

ამასთანავე თუ მთელს ხარჯს საზოგადოება, ან კერძო კაცი იღებს თავის თავზე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველიც დაამტკიცებს, ხოლო თუ მთავრობასაც დახმარებას სთხოვეთ, იმ შემთხვევაში სამინისტროს უნდა წარედგინოს დასამტკიცებლადაო.

ასეთ სკოლაში შესასვლელად საჭიროა, რომ შესვლის მსურველს ერთ-კლასიან სკოლის კურსი მაინცა ჰქონდეს გავლილი.

თუ სკოლის გამგე-მასწავლებელნი მთავრობის მიერ იქმნა დამტკიცებულნი, სამსახური სახელმწიფო სამსახურად ჩაეთვლებათ, და მოწაფეთაც ზოგიერთი უფლებანი მიენიჭებათ (მაგ. ჯარში გაწვევის დროს); თუ არა და—არც რაიმე უფლება მიენიჭებათო.

თუ საშუალო სამთო-მადნო-საქარხნო სასწავლებელს ისურვებთ, ერთი-ორად მეტი დაგიჯდებათ—25,000 მან. დაბალი ტეხნიური—მექანიკისა და ქიმიის განყოფილებით—17,518 მან. სახელოსნო—ერთი-ორად უფრო იაფიაო.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. მეტად საჭიროა ისეთი სასწავლებელი დავაარსოთ, საიდგან მსურველთ შეეძლოთ შემდეგ სწავლის გაგრძობა.

ბ-ნი დ. ბაქრაძე. არა ვარ წინააღმდეგი საზოგადოდ განათლებისა, მაგრამ დრო შეიცვალა, სპეციალურ განათლებით აღჭურვილნი ცოტანი გვყავს. მოთხოვნილება-კი დიდია. ჩვენთვის უფრო საჭიროა ამ ჟამად ტეხნიური, სამეურნეო და სახელოსნო განათლება. საზოგადოდ განათლების სკოლები რამდენიმე მაინცა გვაქვს, სპეციალური-კი მეტად მცირეა. ცოტა რამ გავკვირია და, ვგონებ, ისა სჯობდეს, რომ უფრო საჭირო სკოლა დავაარსოთ.

ბ-ნ ემერიკმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და ის აზრი გაატარა, რომ დიდი უპირატესობა აქვს საზოგადო განათლების სკოლას სპეციალურის წინაშე. მართალია,—სთქვა ორატორმა—პროგრამაში პირდაპირაა ნაჩვენები—სახელოსნო სკოლის შესახებ იქ[illegible] მსჯელობაო, თითქოს წინდაწინვე გვეუბნებოდნენ,—ასეთი სკოლა დააარსეთო, მაგრამ მე მგონია, ეს მეტად ვიწრო შეხედულება იქნებოდა. ჩემის აზრით, საზოგადო განათლების სკოლას უნდა მივსცეთ უპირატესობა. ასეთი სკოლები უფრო ადვილად მოგვცემს ადამიანს და არა ცოცხალს მანქანას. შეგვიძლია დავაარსოთ სამოქალაქო სკოლა და მასთან სახელოსნო განყოფილება; ესეთი სკოლა ყველას აჯობებს. მართალია, შეიძლება ასეთ სკოლამაც აღზარდოს რამდენიმე უქუდო ამპარტავანი (бѣлоручка), მაგრამ, რომელ სკოლას მეტყვით, რომ ასეთებიც არ ერიონო. ამგვარი მოვლენა თვით სკოლის ბრალი-კი არა, არამედ აღმზრდელისა—იმ „სიკეთისა და სიმართლის მთესავისა“, რომელიც მოწაფეთ ხელმძღვანელობს. თუ რომელიმე სკოლა ცუდ მოწაფეებს იძლევა, ეს ბრალია მასწავლებლისა, რომელსაც ჰბარავს ბავშვი, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, რომ რიგიანი მასწავლებელი გვყავდეს.

რაიცა შეეხება სამოქალაქო სასწავლებელთან დაარსებულ სახელოსნო განყოფილებას, იმ აზრისა ვარ, რომ ყველაფერზედ უფრო საჭიროა—სამჭედლო და სადურგლო ხელობა, რადგან სწორედ ეს ორი დარგი ხელობისა დღეს მეტად დაქვეითებულია. ამნაირად ჩვენ უნდა დავაარსოთ სამკლასიანი სამოქალაქო სკოლა პარალელურ სახელოსნო (სამჭედლო და სადურგლო) განყოფილებით. მე წინააღმდეგი ვარ იმ აზრისა, სანამ ჩვენი საკუთარი სკოლა არ დაგვიარსებია და ფეხზე არ დაგვიყენებია, რომ გარეშე სკოლებს შემწეობა აღმოუჩინოთ. ჯერ ჩვენი მოვაწყოთ რიგიანად და შემდეგ სხვას მივეშველოთ (ტაში).

მდვ. მჭედლიძემ კარგა ხანს ილაპარაკა და ამტკიცებდა, ყველაზედ უფრო საჭიროა,—ჭიათურაში ერთი ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა გავხსნათ, სოფელ მღვიმეში.—ამ გვარივე დედათა სკოლა და ჭიათურის გარშემო მადნიან სოფლებში—ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლებიო. რაიცა შეეხება სამოქალაქო სკოლას, იმით ისარგებლებენ მხოლოდ ადგილობრივი ვაჭრები, რომელნიც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ამ საქმეში; ეს იმას ემგვანება, რომ კაცმა ბავშვს წაართვას ლუკმა და ძაღლებს გადაუყაროსო.

ბ. გ. ზდანოვიჩი. თქვენის აზრით, რა უნდა დაჯდეს ეს სკოლები?

მდ. მჭედლიძე. ვინ იცის, ეგ იმაზედაა დამოკიდებული, თუ როგორ შენობას ააგებთ, ან როგორ მოაწყობთ.

ბ. გ. ზდანოვიჩი. მაინც, თქვენის ვარაუდით.

მდ. მჭედლიძე. ვგონებ 4,000 მანეთამდე, მაგრამ ნახევარ ხარჯს თვით სამღვდელოება იკისრებს.

ბ. გ. ცერცვაძე. არ ეთანხმება არც ბ. ემერიკსა და არც მ. მჭედლიძეს, სამოქალაქო სკოლის მოწაფეთ სპეციალური მომზადება არა აქვთ და უმეტეს ნაწილად, უსაქმოდ დაეხეტებიანო; ისევ ისა სჯობია, რომელიმე სპეციალური სასწავლებელი დავაარსოთ, რომ იქიდგან გამოტანილ ცოდნით კაცმა თავი ირჩინოსო.

ბ. ს. ქვარიანი არ ეთანხმება ბ. ემერიკს; თუმცა სახელოვანნი პედაგოგნი ამოს კამენსკი, პესტალოცი, უშინსკი და სხვანი დიდი მომხრენი იყვნენ საზოგადო განათლებისა, მაგრამ დრო იცვალა, ეხლა უფრო საჭირო შეიქნა სპეციალური ცოდნა; საუკეთესოდ მიმაჩნია სპეციალურ სასწავლებლის დაარსებაო.

ბ. დ. ბაქრაძე. მაინც სპეციალურ სკოლას ამჯობინებს სხვებსა.

გ. წერეთელი იმ აზრისაა, რომ ჭიათურას ყველა სკოლებზე უფრო სატეხნიკო სკოლა ესაჭიროება, იმ სახისა, როგორიც ტფილისის რკინის გზის სკოლაა.

მდ. მჭედლიძე. ამტკიცებს, რომ ჭიათურელები ვერ ისარგებლებენ სატეხნიკო სკოლითაო.

ბ. ემერიკი. მართალია, სიტყვა გაგვიჭიანურდა, მაგრამ კიდევ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერავის დავეთანხმები, ვითომ, როგორც ზოგნი ამტკიცებენ, საზოგადო განათლებისა და სპეციალური სკოლები თანაბარ ცოდნას აძლევდეს და ერთნაირად ანვითარებდეს ბავშვსა. საქმე ის გახლავთ, ვინ უფრო გვესაჭიროება ამ ცხოვრებაში? გადამწერლები?—არა; ისედაც მრავლად არიან ეს მუწუკნი. ჩვენ გვინდა მუშაკნი, რომ თავის გონებით და მარჯვენით შეიძლონ მოპოება ლუკმა პურისა.

ინსპექტორი არ ეთანხმება ბ. ემერიკს,—საზოგადო განათლების სკოლები ბლომადაა, მხოლოდ სპეციალური—მეტად მცირეაო.

ბ. დ. ბაქრაძე. მე უფრო ვრცლად განვმარტავ სპეციალურ სკოლების მნიშვნელობას. სწორედ მიკვირს თქვენი ახირება; ქმარი ლაშქრად იყო და ცოლი ამბავს ეუბნებოდაო; თქვენც ასე გემართებათ. დაგიმტკიცებთ, რომ თვით მე მრავალ შემთხვევის მოწამე ვყოფილვარ, როცა საზოგადო განათლების სკოლის დამთავრების შემდეგ, ბავშვი სპეციალურ სკოლის პირველ კლასში შედის. მე ისეთ სპეციალურ სკოლას მოგახსენებთ, საცა, დურგლობისა და მჭედლობის გარდა, ყმაწვილები საზოგადო საგნებსაც შეისწავლიან და განვითარდებიან (ტაში).

თავ. ი. აბაშიძე. სიამოვნებით ვეთანხმები ბ. ემერიკის აზრს, მაგრამ ძნელი გადასაწყვეტია დღეს ეს საქმე, ვინაიდგან გზა-და-გზა მრავალი ახალი საკითხი აღმოჩნდა. ჩემის აზრით, უმჯობესია ეს საქმეც კომისიას მივანდოთ, რომ შეიმუშაოს და ისე წარმოგვიდგინოს.

ბ. ემერიკმა განაცხადა,—ჩემი და ბ. დ. ბაქრაძის აზრი ისე ახლოსაა ერთმანერთზედ, რომ სულ მცირე უბრალო-რამ გვიშლის საბოლოოდ შეთანხმებასაო

თავმჯდომარე. საკითხი საკმაოდ გამოირკვა. უნდა დაარსდეს სახელოსნო სკოლა საზოგადო განვითარების კურსით. ეს საკითხი უნდა გადაეცეს საბოლოო შესამუშავებლად მომავალ საბჭოს.

კრება 3 საათზედ დასრულდა. შემდეგი კრება მოხდება ორშაბათს დილას 10 საათზედ.

# ჩვენებური ამბები

**ზუგდიდი.** აქ სადღესასწაულოდ ჩამოსულ მოსწავლეებმა ორჯერ გამართეს ქართული წარმოდგენა. თავიანთი როლის ნამდვილად დასურათხატებით დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიქციეს.

ქურდობასა და ავკაცობას მაინც არ იშლიან ქურდბაცაცები, მაგრამ არც იმათ აყურიან ხეირს მისი მეთვალყურენი.

ანთება და მჭვადი ზოგან შინაური მასპინძელია. საბრალო სოფელმა რით უნდა დააღწიოს თავი თქმულ სენს. არამც თუ ექიმისათვის, არამედ წამლის საყიდლად არა შერჩენია-რა საწყალს!

ამინდი წელს მუდმივი წვიმიანები იყო, მაგარი ყინვები და თოვლი არ ყოფილა. წვიმებმა მობეზრა თავი მაზრის მკვიდრს.

„ა—ნი ზუგდიდელი“.

**პირიქით-თუშეთი.** უექიმობით დატანჯულია თუშეთის არე-მარე. ორმოცი სოფელია და ერთი ექიმიც არა ჰყავს. არც აფთიექია; უექიმობით და უწამლობით ბევრი სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი და მასთან ქალიც ესალმება წუთი-სოფელს. ბავშვებს ხომ სულ ქექილს უქრობს. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ ოცი ან ოცდა ათი ბავშვი არ იმსხვერპლოს ამ თავ უჩინარმა სენმა. ზოგ ოჯახიდგან სამი-ოთხი მიცვალებულთ ერთად გაასვენებენ სასაფლაოზედ. დიდი ტირილი და ქვითინი გაისმის მთელს თუშეთში. როგორც ადამიანისა, აგრეთვე საქონლის ჭირიც არის თუშეთში. ყოველ წელიწადს მუსრს ავლებს ოთხ-ფეხა საქონელს. ამისთანა უბედურობა, რასაკვირველია, დიდს მეწუხებას მიაყენებს გლეხ ხალხს. ერთი იმდენად თავის შემატკიცარი არავინა ჰყავს, რომ რაიმე დახმარების საშუალება აღმოგვიჩინოს ასეთ უბედურობას. ქურდებისგან ხომ სულ აკლებულია მთელი თუშეთი. რასაც ჭირს და სიკვდილს გადაარჩენენ საქონელს, იმასაც ქურდები და ყაჩაღები სტაცებენ. დიდს მეწუხებას აყენებენ ხალხს. 26 მარიამობის თვეს თავს დაეცა ოთხი ქისტი ერთს მეცხვარეს, ივან ბამინურიძეს. მეცხვარეს ვერ გაუგია ქურდების მისვლა სძინებია, ნაბადში. ქისტებს მძინარე მწყემსისათვის ხანჯალი ჩაეცათ გულ-მუცელში. წაესხათ 4 ცხენი და 90 ცხვარი. ეს[illegible] თავის საცხოვრებლით დალუპეს ყმაწვილი კაცი, სამარხიც-კი აღარ დარჩენია. მას დარჩა ახალგაზდა ცოლი და ერთი ძუძუთა ბავშვი [illegible] ულუკმაპუროდ. [illegible] ომალოში მოხდა ერთი ასეთივე უბედურობა, ერთი ჩვიდმეტი [illegible] ყმაწვილი, [illegible] წასულა მთაში დაკარგული ცხენის მოსანახად. ეს მთა მაღალ-კლდიანი და ღრმა ხევებიანია, სოფელს კარგა მოშორებით არის. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, უპოვნია დაკარგული ცხენი და კიდეც დაუჭერია აქ იმ დროს, საუბედუროდ, შეხვდა სამი დიდო. საზოგადოდ დიდოები დაუნდო და შეუბრალებლები არიან. როგორც ყმაწვილი, მოტყუილებით დაეჭირათ: გაეხადნათ ზემო ტანისამოსი, ეშიშვლათ ხანჯლები და აქეთ-იქიდამ დასდგომოდნენ გამხეცებულები, მითომ არსად გაქცეულიყო; ეხვლიტათ ხანჯლები და ასი საჟენის მანძილი პირ-აღმა ერბენინებინათ. როცა შეწუხებულიყო, ორივე ხელები მიეშველებინა ხანჯლის ასაცილებლად, მაგრამ როგორ შეიკავებდა ალმას პირიან ხანჯლებს! ხელები სულ დასხეპილი ჰქონდა. როცა დასუსტებულიყო, დაეშინათ ხანჯლები და შეესრულებინათ გულის წადილი. იმის მეტი შვილი არცა ჰყავდა იმის დედას. მთელი ოჯახი იმაზედ იყო დამოკიდებული. გავიდა ორი დღე და ღამე, აღარა სჩანდა ყმაწვილი, რომელიც იმავე საღამოს უნდა დაბრუნებულიყო სახლში. გავიდა ხალხი საძებნელად და მასთან დედაც. პირველად მშობელი დედა წაადგა თავს ხევში ჩაგდებულ ყელ-გამოჭრილ შვილს. შეშინებული დედა გონ მიხდილი დავარდა მკვდარ შვილზედ. საშინელ სურათს წარმოადგენდა ნაჭერ-ნაჭრებად დაკუწული შვილი და გონ მიხდილი დედა.

ხვედაგურიძე.

## ისტორიულ გადმოცემათა შეკრება

მგონი, არავისთვის არ უნდა იყოს უცნობი, თუ როგორ ნაკლულევანია ჩვენი სამშობლო ქვეყნის ისტორია. განუწყვეტელმა ომებმა და შინაურ უთანხმოებამ ბევრი სალიტერატურო ძეგლი გამოგვაცალა ხელიდან, რის გამოც ბევრი ისტორიული ფაქტი დაიღუპა ჩვენთვის სამუდამოდ, რადგან მისს აღწერას ჩვენამდის არ მოუღწევია. ასევე ჰკოჭლობს შინაური წესწყობილების ცნობები, ვინაიდგან საქართველოს სოციალურს მდგომარეობას, მისს შინაურ ცხოვრებას მატიანე არსად არ ეხება და კმაყოფილდება მარტო მეფეთა ბიოგრაფიებით. მაგრამ უფრო ნაკლებია ცნობები მეფე-მთავრების შინაურ ცხოვრების და მათის ერთმანეთთან და ქვეშევრდომებთან ურთიერთობის შესახებ.

რაც-კი ცნობები გვაქვს ზემოთ ჩამოთვლილ დარგებისა, ისიც თანამედროვე უცხოელ მოგზაურთა და მოგზაურთა თხზულებების წყალობით (შარდენი და სხ.) და ბოლო დროის მკვლევართა შრომით (პლ. იოსელიანი *), ხახანაშვილი **) და სხ.) ისიც მოსახსენებელია, რომ მომეტებული ნაწილი ამ ცნობათა ეხება ქართლ-კახეთ-იმერეთს, ხოლო გურია-სამეგრელო და აფხაზეთ-სვანეთი, უფრო-კი ეს უკანასკნელნი, ამ მხრივ სრულიად terra incognita-ა ჩვენთვის.

ჩვენის ისტორიის ცოტად თუ ბევრად შესავსებლად ეხლა არის მარტო ერთი საშუალება—ზეპირგადმოცემათა შეკრება. ამ ორმოციოდე წლის წინად, ე. ი. იმ დროს, როდესაც ისტორიკოსი პლ. იოსელიანი ზეპირგარდმოცემებს ჰკრებავდა ხალხში თვისს თხზულების „ცხ-ბა გიორგი III-სათვის“, ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეიძლებოდა, ადვილი იყო საჭირო ცნობების შეკრება ხალხში, რადგან მაშინდელს ჩვენს ცხოვრებას ჯერ კიდევ ძველი, პატრიარქალური ელფერი ედვა, ხალხი უფრო წარსულით სცხოვრებდა და ამასთანავე ბევრი საქართველოს სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობის მომსწრეც-კი ცოცხალი იყო და, მაშასადამე, ბევრი რამ ეცოდინებოდათ საინტერესო.

გავიდა ხანი, ამ პირთ უკვე დიდი ხანია განისვენეს წიაღსა შინა აბრაამისასა და დიდი ნაწილი ისტორიულის ხასიათის ზეპირგადმოცემისა თან ჩაჰყვათ საფლავში, რადგან ცხოვრების ახალ მოთხოვნილებით გატაცებულ ახალთაობას ძველი ამბებისთვის აღარ სცხელოდა.

მაგრამ აწ დარჩენილი მასალაც რომ შეიკრიბოს, ისიც საკმარისი იქნება, თუ-კი ყურადღებით მოვეპყრობით საქმეს. ამის მაგალითი თვალწინ გვიდგა: ჩვენმა დაუღალავმა მუშაკმა ზაქარია ჭიჭინაძემ აურებელი მასალა შესძინა სამცხე საათაბაგოს ისტორიას ქართველთა გამაჰმადიანების შესახებ ზეპირ-გადმოცემათა შეკრებით. (მისი „ქართ-

*) „ცხოვრ. გიორგი XIII“.

**) „კვალი“ 1900 წლ. № 25 „წეს-წყობილება იმერეთში სოლომონ II-ს დროს“.

---

მე ამ დროს ეგზამენი მქონდა და გაცხარებული ვმეცადინეობდი. მაისის დამლევს, როცა ეგზამენი მოვლიე და ველოდი საგზაო ფულს, სახლიდგან მომივიდა ტელეგრამა: „ნინო ძლიერ ავად არის, საჩქაროდ მოდი“-ო. ტელეგრამის წაკითხვაზედ გული წამივიდა, ერთ ხანს გულ-წასული ვეგდე ლოგინზედ, ბოლოს, როცა გონს მოვედი, დავიხურე ქუდი და წავედი ამხანაგებში საგზაო ფულის სასესხებლად. გზის ფული ვიშოვე, თუ არა, დაუყოვნებლივ წამოვედი.

გზაში საშინლად ვწუხდი; ვფიქრობდი, „იქნებ ცოცხალსაც ვერ მივუსწრო-მეთქი“... როგორც იყო, მივაწიე სახლამდე.

საღამო ხანი იყო, ეზოში რაღაც არეულობა დავინახე; მეზობლებსა და ნათესავებს ყველას იქ მოეყარა თავი; ყველას დაღვრემილი სახე ჰქონდა.

მაშინვე მივხვდი, რომ ყოველივე ესე რაღაც ცუდს ამბავს მოასწავებდა. მე საჩქაროდ მივიჭერი ნინოს ოთახის კარებთან.

მის საწოლთან იდგნენ ჩემი და მისი მშობლები. მივედი თუ არა, ჩავხედე ნინოს თვალებში; თითქმის აქ ქვეყნად აღარ იყო, მშვენიერი სახე მთლად ერთიანად გამოსცვლოდა.

გულმა ველარ მომითმინა და თვალებზედ ცრემლები მომადგა, მივედ ახლოს და გულნაღვლიანმა ჩავსძახე:

— ნინო, ჩემო სიცოცხლევ!..

ნინომ, როგორც იყო, წამოიწია თავი და შემომხედა, მიცნო და ხელი გამომიწოდა. მშვენიერ ჩამოსხმულ თითების მაგიერ—ჩონჩხსა ჰგავდა მისი ხელი.

— ლევან, შენა ხარ!—მითხრა მან დასუსტებულის ხმით—რატომ ცოცხალს არ მომისწარ და არ მანუგეშე!.. სად იყავ? რად დაიგვიანე?!. მენმა ჯავრმა მომკლა... შენ რომ აქ ყოფილიყავ, ეგების მეცოცხლა. ახლა-კი მშვიდობით, გეთხოვები, ჩემი სიყვარული თან მიმყვება სამარეში.. იყავ ცოცხალი და ბედნიერი... გიტოვებ ჩემს ვაჟს, გიყვარდეს და, როცა შეხედო ხოლმე, მოიგონე უდროოდ დაკარგული შენი ნინო... ოჰ, ღმერთო, რა რიგ დავსუსტდი! მეტი არ არ შემიძლია.

ამას რომ ამბობდა, ქირის ოფლმა დაასხა, შემწუხდა და თავი მირს დახარა.

მოვკიდე ხელი და ფრთხილად მივაწვინე ბალიშზე. როცა ცოტად სული მოიბრუნა, შემომხედა „მშვიდობით ლევანო“ მითხრა და განუტევა სული.

უსაზღვრო მწუხარებამ მოიცვა ჩემი გული. იმ ადამიანის სიკვდილს ჩემს თავს ვაბრალებ, სვინიდისი საშინლად მაწუხებს, გული ნაღვლითა და სევდითა მაქვს სავსე... ყველგან დამდევს მისი მშვენიერი სახე, რომელიც ასე უდროოდ ამოეფარა შავ მიწას...

— ბავშვი რა უყავი?—გავაწყვეტინე სიტყვა ლევანს, რომელიც თვალებზე ცრემლს იწმენდდა ხელსახოცით.

— ჰო, მართლა, ბავშვი,—ტირილით მითხრა:—მთლად ნინოს სურათი იყო, მისებრ ლამაზი, მისებრი პირ-სავსე... ერთის კვირის შემდეგ ისიც მოკვდა. დედის ავადმყოფობის დროს ვერ ეგდოთ ყური, გაეციებინათ; რაც ხანი მიდიოდა, უფრო და უფრო სუსტდებოდა, არაფერი წამალი არ მიუდგა და ბოლოს ისიც გაჰყვა დედას.

ეს ამბავი მწველის ცეცხლივით გულს მედება. სანუგეშო არაფერი დამრჩენია. სვინიდისი მჭედლის კვერივითა მცემს თავში და მოსვენებას არ მაძლევს: „მათი სიკვდილი შენი ბრალიაო“. არ ვიცით, რით დავიმშვიდო გული. სიცოცხლეს ჩემთვის ფასი დაეკარგა. ათას წილად ვარჩევდი, მეც მომეკითხავდეს ჩემი ნინო“.

ასე გაათავა თავის ამბავი ლევანმა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ უკვე ვოკზალზედ ვიყავით და ერთმანერთს გამოვემშვიდობეთ—მე სახლში დავბრუნდი ლევანის ამბით დაღონებული და—ისკი იმავ ღამეს რუსეთს უნდა წასულიყო უნივერსიტეტში სწავლის განსაგრძობად.

გერასიმე ხაჟომია.

ველების გათათრება“). ქიქინაძის გარდა, ამ რამდენისამე წლის წინად, როდესაც მწერლობაშიაც გამოითქვა აზრი საზოგადოდ ზეპირ-გადმოცემების შეკრებაზედ, რამდენიმე გადმოცემა ისტორიულის ხასიათისა კიდეც დაიბეჭდა „კვალში“ და აკაკის „კრებულში“, მაგრამ ამის შემდეგ ჩამიჩუმი არ ისმის.

ამიტომ, მოვაგონებთ-რა ამას სამშობლო ქვეყნის ისტორიის აღორძინებაში დაინტერესებულ პირთ, დავსძენთ, რომ, ჯერ კიდევ ძალიან გვიან არ არის, უფრო-კი სამეგრელო-აფხაზეთ-სვანეთში, სადაც, როგორც ცნობილია, მხოლოდ 40 წელია, რაც სამთავრო დინასტიები გადავარდნენ. აქ ახლაც შესაძლებელია ძლიერ ბევრი ცნობები შეიკრიბოს მთავართა შინაურ ცხოვრების და სამთავროების წეს-წყობილების შესახებ.

აქვე ვუჩვენებთ, თუ, ჩვენის აზრით, რას უფრო უნდა მიექცეს ყურადღება: თავ-და-პირველად უნდა ჩაწერილ იქმნას ცნობები ძველ შინაურ წეს-წყობილების შესახებ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მოხელეებს უმთავრესს ადმინისტრატიულ პირთან, მთავართან თუ მეფესთან. (რა ჯამაგირს იღებდნენ, მემკვიდრეობით გადადიოდა თანამდებობა თუ არა)? მეფე-მთავართა შინაურ ცხოვრების შესახებ: როგორი ეტიკეტი იყო მათს სასახლეში, ტანთ რას იცვამდნენ, როგორ ატარებდნენ დროს? ამის გარდა, უნდა აღნუსხულ იქმნეს მეფე-მთავართა კერძო ცხოვრების ისეთი ფაქტებიც, რომელნიც თავიანთ დახასიათებით ისტორიკოსს მასალას მიაწვდიან. მაგრამ მარტო მეფე-მთავრების-კი არ უნდა შევჯერდეთ: ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ისტორიულ პირთა შესახებ დარჩენილ ცნობებს, როგორიც იყვნენ, მაგალითად, იმერეთში ზურაბ წერეთელი, პირველი მინისტრი სოლომონ II მეფისა, სოლ. ლეონიძე და სხ.

განსაკუთრებით ეს საქმე თავს უნდა იდვან სოფლად გარდახვეწილ ინტელიგენტებმა, მასწავლებლებმა და უფრო-კი იმ თავად-აზნაურთ, რომელთა წინაპარნი ცოტად თუ ბევრად შესამჩნევს როლს თამაშობდნენ საქართველოს ნაწილების ცხოვრებაში დამოუკიდებლობის დროს და, მაშასადამე, თავისს წინაპართა შესახებ ბევრი-რამ ექმნებათ გაგონილი. ამ საქმისათვის გადადებული კვირაში რამდენიმე საათი მათ ბევრს ვერას დააკლებს, ხოლო ისტორიას ისტორიულ პირთა დახასიათებაში დიდად დაეხმარება. შეკრებილი ცნობები, არათუ ისტორიისათვის იქნება გამოსადეგი, არამედ დიდს მასალას მისცემს ისტორიულ ბელეტრისტიკასაც, რომელიც საკმაოდ ღარიბია ჩვენს ლიტერატურაში.

კარგი იქნება, გარდა ზემოხსენებულის ცნობებისა, შეიკრიბოს კიდევ ცნობები შესახებ ლაშქრობათა, ომიანობათა და სხვა-და-სხვა მოარულ სენისა, როგორც მაგალითად 1812 წლის ჟამისა. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ფაქტს—ჟამს—ჩვენი მეისტორიენი თავიანთ „ისტორიებში“ ტყუილად უხვევენ გვერდს. ჟამი, რომელმაც მაშინ დასავლეთ საქართველოში გასწყვიტა $^2/_3$ მცხოვრებლებისა, ღირსი იყო მოხსენებისა და დაწვრილებით აღწერისაც.

მაგრამ რადგან ასეთი აღწერა, თუ არ ვცდები, არც ერთს ისტორიულ თხზულებაში არ არის, ამიტომ საჭიროა ისტორიის ეს ნაკლულევანებაც შეივსოს და ჩაიწეროს გადმოცემანი იმის შესახებ, თუ რომელ წოდებამ როგორ გადიტანა ჟამი და სიმშილობა: თავად-აზნაურობას უძნელდებოდა, თუ არა, კარგის სურსათის შოვნა და კლებობა, პურის უქონლობისა გამო, რას ხმარობდა საჭმელად. თვით ჩვენ, თუმცა ბედმა სოფლად ცხოვრება არ გვარგუნა, მაგრამ იმ ორიოდე დღის განმავლობაში, რომელიც სოფლებში დავყევით, ცოტა რამ ცნობები კიდეც შევკრიბეთ (იხ. ჩვენი წერილი შარშანდელ „ივერიის“ 254-ში „ქართველთა რიცხვი ასის წლის წინად“) და ეს არც გაგვიძნელდება, რადგან ხალხის ხსოვნაში ღრმა ჩაბეჭდილა ჟამის და სიმშილობის სახელი და მათი საშინელი შედეგები.

რასაკვირველია, ზემოხსენებულ დარგთა შეკრებილ ცნობებში ყველა კი არ იქნება სარწმუნო, ბევრი მათგანი გადამახინჯდებოდა რამოდენიმე თაობის ხსოვნაში, ისტორიაც ხომ ტომარა არ არის, რომ შიგ ყველაფრის ჩაყრა შეიძლებოდეს, მაგრამ შეკრებილ ცნობების კრიტიკულის თვალით აწონ-დაწონვა მომავალ ისტორიკოსს მივანდოთ და ჩვენ კი ჩვენი მოვალეობა ავასრულოთ, ნუ დავკარგავთ ისტორიულ ცნობებს, სანამ ჯერ კიდევ დრო არ წასულა, თორემ გვიან იქნება მერმე-ღა თითზედ კბენანი.

ქართული დრო გამოშვებითი გამოცემანი ყოველთვის სიამოვნებით უთმობდნენ ადგილს ზეპირ გადმოცემას თავიანთ ფურცლებზე და, იმედია, არც ეხლა იტყვიან უარს, თუ კი ჩვენი ხმა არ დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, და თუ კი ვინმე მადლიანი კაცი გამოჩნდა და ცნობები რედაქციებს მიაწოდა.

ს. დავითიანი. *)

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო თეატრი.** კვირას, 12 იანვარს, რკინის გზის სახელოსნოების თეატრში წარმოადგინეს „პარიჟელი ბიჭი“ და „სცენები მირთუგთ სუდიასთას“ დ. გეზელისა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა და გ. ჩერქეზიშვილისა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წარმოდგენა მეტად საინტერესო და განსაკუთრებული იყო არა მარტო იმითი, რომ დახელოვნებულნი ნიჭიერნი ქალნი სრული განხორციელებანი იყვნენ იმ ტიპებისა, რომელიც წარმოადგინეს, არამედ იმითიც, რომ სცენის მოყვარულნი ფეხ-და-ფეხ მის დევდნენ ამ მსახიობთ და თვითონაც მეტს ძალასა და სიცოცხლეს იჩენდნენ.

დავიწყოთ ქ. საფაროვ-აბაშიძიდგან, რომელიც ამ საღამოს ჟოზეფის როლს ასრულებდა. დიდი დანაშაულობა იქმნება მარტო ისა ვსთქვათ, რომ ამ ქალმა კარგა შეასრულა თავისი როლით... სცენაზე შემოსვლისათანავე მსახიობმა თან შემოიტანა ახალი ჰაერი, სიცოცხლე და ენერგია; სცენაზედ მყოფნი მოთამაშენიც ამის გამო გაცოცხლდნენ, გამბედაობა მოუმატათ და აჰყვნენ მსახიობ ქალის ხელოვნურ თამაშს... მსახიობ ქალს არ გამორჩენოდა არც ერთი კუნჭული ჟოზეფის სულიერის მდგომარეობისა; მისმა თამაშობამ სავსებით გადუშალა ამ საღამოს ეს სულიერი მდგომარეობა მაყურებელთ...

ჟოზეფი ბუნებით ცოცხალია, ჯერ სულ ბავშვია, მეტძლია ჭხანოს რამე ცხოვრებაში და თავის მთაბეჭდილება გადასცეს მმობელთ, მაგრამ თუ ჩააცივდებიან, ეს და ეს ამბავი რის მოსმენებულია, გულუბრყვილოდ, როგორც მეგვნის მის წლოვანებას, ეუბნება, მე რა ვიცი... ეს თვისება ჟოზეფისა—გულ-უბრყვილობა—ისეთის სისამდვილით გადმოგვცა მსახიობ-ქალმა, რომ ახლაც-კი, როდესაც ამ სტრიქონებს ვსწერ, ყურში ძიდგა ბავშვის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი გულის სიღრმიდგან ამოსული სიტყვები: „გე ასე მოხდა და მე რა ვიცი, რას ნიშნავსო“.

ჟოზეფის მეორე თვისება არის ალალ-მართალი კეთილ-მობილური გული. ის სრულის სისწორით უამბობს მშობლებს, როგორ დაუსველდა ტანისამოსი წყალში. „მეო,—ამბობს ჟოზეფი,—დავინახე, ბავშვი წყალში ჩავარდა, მივედი და ამოვიყვანეო“. ეს—გადარჩენა ბავშვისა—მშობელთ გაეხარდებათ და მზად არიან ამისთვის დაჰკოცნონ ჟოზეფი, მაგრამ ყმაწვილს არ აინტერესებს, თუ რის ღირსია ბავშვას შველისთვის და ამიტომ სხვა საგანზედ ლაპარაკობს, აგრეთვე სრულის სიმართლით... ჟოზეფის ამ სიტყვების დახატვაშიაც ძლიერად იჩინა თავი მსახიობ ქალის ძლიერმა ნიჭმა და თავისს თამაშით შესაფერის კილოთი იმხვრა-მოხვრის სიმკვირცხლით, სწრაფის მოძრაობით და სახის მრავალ-მეტყველებით დაამშვენა სულ დაატყვევა...

ყველაზედ ძნელი დასახატავი და სათანადოდ დასასურათებელია ის მომენტი, როდესაც ბავშვ ჟოზეფს მოაგონდება მამის ანდერძი: „შენს დას უპატრონეო“. ამ მოგონებამდე ჟოზეფი ცელქობს, დაჰხტის, ხალისობს, იცინის აჯავრებს და ნამდვილი ბავშვური სიხარული გამოიხატება იმის სახეზედ.. ხოლო, როცა მამის ანდერძი გაახსენდება, მან უცებ თავისს მხიარულ სახეს კაეშანი უნდა გადააკრას და მაყურებელსაც-კი აღარ უნდა აცინებდეს, არამედ უნდა აგრძნობინებდეს თავისს ნამდვილს სულიერს მდგომარეობას, რაც მაყურებელს უსათუოდ თანაგრძნობასა და გულ-შემატკივრობას აღუძრავს. ამ ადგილსაც მსახიობმა ქალმა კვლავ გამოიჩინა თვისი ნიჭი.. თავისი სიხარული მან უცებ შესცვალა მწუხარებად, მაგრამ ეს მწუხარება იყო არა მელოდრამული, ან კიდევ ისეთი, რომელიც აუცილებლად თან დასდევს დიდს დრამატიულს მომენტს, არამედ სადა, და ამასთანავე შეზავებული სისამდვილით და ბავშვურის გულუბრყვილობით... ერთის სიტყვით, საფაროვ-აბაშიძის თამაშს არავითარი ნაკლულოვანება არ მოეპოვებოდა.

ქ. ჩერქეზიშვილისამ, რომელიც ბებია—ქალის როლს ასრულებდა, სრულის სისწორით და ზედ მიწევნით დაასურათ-ხატა მოხუცებული მენიე. ეს როლი საზოგადოდ უმნიშვნელოა და მთელის არტისტიულ ძლიერების გამოჩენა შეუძლებელია.

ი. რომანიშვილმა (ამედეი) ბოლომდის კარგა ჩაატარა თავისი როლი, მხოლოდ ვურჩევ, თვალების ტრიალს ნუ შეეჩვევა, ამასთანავე, როცა ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები უნდა სთქვას, განზედ ნუ გადის, ზურგს ნუ აქცევს მეორეს და ისე ნუ ამბობს.

თამ. ჩიქავაძე არ იყო ცუდი ელიზა. მის თამაშობას აკლდა სახის მოძრაობა, მაგრამ ეს ხომ ისეთი ნიჭია, რომელსაც ზოგჯერ ისეთნი მსახიობნიც არიან მოკლებულნი, რომლებიც დახელოვნებულნი არიან სცენის სამსახურში.

ბიზოს როლს ასრულებდა ნიკო გოცირიძე და უნდა ვსთქვა, რომ მისი თამაშობა ნამდვილად ხელოვნური თამაშობა იყო.

გ. ჯაფარიძე გენერალ მორენის როლს ასრულებდა და კარგად დაჰხატა ის ადგილები, სადაც ჯავრობს, მაგრამ ეს გაჯავრება დიდხანს არ გაჰყვებოდა ხოლმე... გენერალი მოხუცებულია, ჯანმტკიცი, მაგრამ დიდი გულკეთილი, უბოროტო ადამიანი, მას ბოროტ მოქმედება მეტად ადვილობს,.. ამიტომ გენერალი ძლიერ ჯავრდება და ბოლოვდის, მანამ საქმეს გაასწორებდეს, გულნატკენია.. ეს არ დაგვანახა ბ-ნმა ჯაფარიძემ.. მან როლიც არ იცოდა და სუფლიორს მისდევდა ფეხ და-ფეხ.-

დ. გეზელის „სცენებმა“ მხიარულად ჩაიარა.

ა—ნა.

„ივერიის“ ფოსტა:

**ხოფ. ბრეთს.** მამაპიროსელს. თქვენს წერილს დავბეჭდავთ. გამოგვიგზავნეთ დასასრულიც.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 იანვარი.

**ერევანი.** 12 იანვარს ერევნის გზაზედ მატარებელი გადასცდა ლიანდაგს და რამდენიმე კაცი ამსხვრეულა.

**კიევი.** სწავლის გასათავებელი ეგზამენები საპოლიტექნიკო ინსტიტუტში 14 იანვარს დაიწყება. ფინანსთა მინისტრმა საეგზამენო კომისიის წევრად დანიშნა მენდელეევი.

**ურალსკი.** იმ ტელეგრამმაზედ, რომელიც უქვეშევრდომილესად გაეგზავნა გენერალ სტაროსკის-მიერ ხელმწიფე იმპერატორს და რომლითაც აცნობა, 80 კაზაკი ზღვამ წაიღო, ყინულზედ მყოფნიო, ხელმწიფე იმპერატორმა დაასწერა: „მიღებულ იქმნეს ყოველივე ღონის ძიება კაზაკთა გადასარჩენადო“.

**ბერლინი.** დიდი კრონ-პრინცი მოვიდა.

**ვენტერსდორპი.** დელარეიმ მიმართა ბურთ თხოვნით, ახალ მთავრობის ხელში იყავით ისეთივე კეთილნი მოქალაქენი, როგორც წინანდელ მთავრობის ხელში იყავითო.

**ფეცი.** ტახტის მაძიებელი ქალაქს უახლოვდება დიდძალის ჯარით. მოწინააღმდეგეთა ჯარი ფეცზედ მხოლოდ 25—30 მილით არის დაშორებული. ჰფიქრობენ, დიდი ბრძოლა მოჰხდებაო.

**ფილიპპოპოლი.** სომხეთა პატრიარქის მოკვლის განზრახვას პოლიტიკური აზრი არ ჰქონდა საფუძვლად, თუმცა ზოგიერთ სომხს ამით საბაბი მიეცა, ბოროტის დაცინვით დაეწყოთ ლაპარაკი ერმანიანის თვისება-მოყვარეობის შესახებ.

**პეტერბურგი.** 12 იანვარს, „სათავად-აზნაურო საკრებულოში“, ანდიჯანელთა სასარგებლოდ გამართა კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატრიცანი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი.

14 იანვარი.

**ფილიპპოპოლი.** ოსმალეთის მთავრობამ ძლივს შეიპყრო სამხრეთ-ლეანის ბეგი მაჰმადი, რომელიც ძარცვა-გლეჯით და ძალ-მომრეობით დიდათ აწუხებდა მცხოვრებთ. სალონიკსა და სტამბოლს შუა გაყვანილ რკინის გზაზედ მიმავალ მატარებელს თავს დაესხნენ ბოროტ-გამზრახველნი, რომელთაც სურდათ მატარებლის დაღუპვა.

**ფილიპპოპოლი.** ადრიანოპოლის ვილაიეტში, კირიკლისის მახლობლად გაჩნდა რამდენიმე შეიარაღებული ბრბო.

**ნიუ-იორკი.** ნიუ-იორკის გაზეთის მოწმობით პუერტო კაბელლოდან ორმოცი ვერსის მანძილზედ მეამბოხეებ დაუმარცხებიათ პრეზიდენტ კასტროს ჯარები.

**ვაშინგტონი.** ბოუენისა, ინგლისის, გერმანიის და იტალიის წარმომადგენლებს მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთს შორის ბლოკადის გაუქმების შესახებ. ბოლოს გადასწყვიტეს შემდეგი: როდესაც ბოუენი და სახელმწიფოთა წარმომადგენელნი შეთანხმდებიან სახელმწიფოთა მოთხოვნილებებზედ, ბლოკადა მაშინვე გაუქმდებაო. რაც შეეხება გარანტიას, ვენესუელა სთმობს საბაჟო შემოსავლის ნაწილს ლაგუაირასა და პუერტო-კაბელლოში.

**ბერლინი.** პარიჟიდან იუწყებიან, რომ ზოგიერთი ბანკები მზადაა მაროკკოს მთავრობას 7 მილიონი ფრანკი ასესხოს ოთხის წლის ვადით.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო ბრიუსელის შაქრის კონვენცია.

**პეტერბურგი.** აქეთა ამურის ოლქის სამხედრო გუბერნატორი დაინიშნა იქითა ამურის ოლქის სამზღვრის დარაჯის უფროსად. ჩერნიგოვის გუბერნატორი ანდრეევსკი დაინიშნა ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის უფროსად.

სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის სტატს სეკრეტარი ვოლვოდსკი დაინიშნა მისის უდიდებულესობის საკუთარ კანცელიარიის უფროსს მმართველის ამხანაგად ტაინი სოვეტნიკი გოლუბევი ინიშნება ფინანსთა სამინისტროს აგენტად ბერლინში.

**პეტერბურგის ბირჟა,** 10 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . . | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,80 |
| ბერლინში ,, . . . . . . . . | $46,27^1/_2$ |
| პარიჟში ,, . . . . . . . . | 3770 |
| ბირჟის დისკონტი . . . . . . . | $5—6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . . | 98 გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | $100^1/_4$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . | $94^1/_2$ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . . | $465^1/_4$ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 375 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . . | $311^1/_2$ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . . | $83^7/_8$ წვ. გაყ. |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — 90 გაყ. |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . . | $85^1/_2$ გაყ. |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | $90^1/_8$ გაყ. |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 2400 გაყ. |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 387 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | 165 წვ. გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) [illegible], პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის [illegible] (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

## სასამართლოს შესახები ცნობანი.

18 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) დავა არტემ ნიკობაძისა და დავით წულუკიძისა:
2) დავა კონ. ებრილიძისა და იოსებ თებზაძისა.
3) დავა მათე შალამბერიძისა და თ-დ პართენ ერისთავისა.


# განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში** — „წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.* (3—ԱԼ.—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ.“

(XX-й годъ изданія)

условія подписки

съ доставкой и пересылкой:

| | | | |
|---|---|---|---|
| а 12 мѣсяцевъ . . | 7 р. — к. | на 6 мѣсяцевъ . . | 4 р. — к. |
| „ 11 „ . . | 6 р. 50 „ | „ 5 „ . . | 3 „ 50 „ |
| „ 10 „ . . | 6 „ — „ | „ 4 „ . . | 3 „ — „ |
| „ 9 „ . . | 5 „ 50 „ | „ 3 „ . . | 2 „ 50 |
| „ 8 „ . . | 5 „ — „ | „ 2 „ . . | 2 „ — „ |
| „ 7 „ . . | 4 „ 50 „ | „ 1 „ . . | 1 „ — „ |

За границу: па годъ 14 руб., на полгода 8 руб., ня 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородрыхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подпискб принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и заграничн. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К° къ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 к.—па 1-й стр.

(8—8)


*) იგივე Nomo novus. ვინაიდგან ამ ბოლო დროს რუსულ პრესაში გამოჩნდა ახალი Nomo novus „Театръ и иск.“ № 51, 52 და სხ.) ამიტომ სხვა-და სხვა უხერხულებათა თავიდგან ასაცილებლად იძულებული ვარ ფსევდონიმი გამოვიცვალო.

ავტორი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.